სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/144

ქ. თბილისი

19 ოქტომბერი 2022 წ.

სტუ-ის მოწვეული ასოც.პროფესორის, კარლო ბზიშვილის საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არამოსამართლე წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატად წარდგენის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 208-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 19 ოქტომბრის №16 სხდომის ოქმის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 ოქტომბრის №01-05-02/32 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. წარდგენილ იქნეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არამოსამართლე წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ასოც. პროფესორის, სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტის, კარლო ბზიშვილის კანდიდატურა.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ.გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**